

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 29 სექტემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი № 1- 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე



კომისიის თავმჯდომარე

ეკონომიკის, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი
სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი

29.09.2015 წელი
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

მოადგილე: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ზესიკ ტაბიძე.

წევრები: ადამ ხუხუნაიშვილი, ელისო ჭიჭინაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, ნონა მურვანიძე, კახაბერ ასკურავა, კახა ურუშაძე.

საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა განაპირობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უკმაყოფილებამ ავტობანის საკითხებთან დაკავშირებით. ისინი უკმაყოფილონი არიან სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული კვ.მ მიწის საფასურით. მისი განმარტებით ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს და დაადგინოს რეალური სურათი აღნიშნულთან დაკავშირებით და შუამდგომლობა გაუწიოს მოსახლეობას სახელმწიფოსთან.

საკრებულოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ ჯგუფი ორ ნაწილად დაყო. კერძოდ: ნონა მურვანიძეს, კახაბერ ასკურავას, ადამ ხუხუნაიშვილს, ელისო ჭიჭინაძეს დაევა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2010-2014 წლებში, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში გაყიდული მიწების ფასის დადგენა, ხოლო ჯუმბერ ბლაგიძეს, ზესო ტაბიძეს, კახა ურუშაძეს კი საყანე ფართობების დათვალიერება და მოსავლის რაოდენობის განსაზღვრა კვადრატულ მეტრზე, ასევე სოფლის წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობის მიერ დამუშავებული თუ დაუმუშავებელი მიწების აღწერა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის შეკრების შემდეგ მოხდება ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან მუშა შეხვედრა და დროებითი სამუშაო ჯგუფი ფაქტებზე დაყრდნობით წარადგენს რეალურ დასკვნას აღნიშნულ პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი ნონა მურვანიძე უკმაყოფილოა სახელმწიფო პოლიტიკით კერძო საკუთრების მიმართ. მისი თქმით ეს არ არის პირველი შემთხვევა. სახელმწიფომ მოსახლეობის ინტერესები არ დაიცვა ტერმინალის მშენებლობის დროსაც.

საკრებულოს წევრის კახაბერ ასკურავას ინფორმაციით სახელმწიფოსა და კერძო აუდიტის დასკვნა განსხვავებულია. მისი თქმით სახელმწიფო ძალიან დაბალ ფასს თავაზობს მოსახლეობას დღევანდელი ლარის ინფლაციის პირობებში.

საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძემ განმეორებითი სხდომა 6 ოქტომბერს ჩანიშნა.

საკრებულოს დროებითი სამუშაო

ჯგუფის თავმჯდომარე:

 გიორგი ჩახვაძე